ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

# 32 (9972) • 6 seqtemberi • 2012 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

## პრეზიდენტის მორიგი ვიზიტი გურიაში

ნუგზარ ასათიანი



მედიისათვის კვლავ დახურული აღმოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი ვიზიტი გურიაში, რომელიც 1 სექტემბერს სოფ. შემოქმედის ცენტრში გაიმართა. სოფლის ცენტრამდე შესასვლელში იდგნენ ჟურნალისტები ღონისძიებაზე დასწრების ნებართვის მოლოდინში.

ამ სტრიქონების ავტორი ესწრებოდა აღნიშნულ ღონისძიებას დაცვის სამსახურისათვის მიცემული პირობით, არაფერს არ გადაიღებდა.

შემოღობილში შესასვლელად ტრადიციული ღონისძიებები ტარდებოდა. საჯარო მოხელეები, აიპ-ის თანამშრომლები, „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები ჩამოსული იყვნენ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატ რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად მოვიდა. ხალხს მიესალმა, თავის სიტყვაში ქვეყნის აღმშენებლობაზე ისაუბრა და ქება და დიდება არ დაიშურა აწ უკვე ყოფილ რეგიონალური მართვის და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილის მიმართ. ფაქტობრივად მან რამაზი ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატად წარუდგინა.

შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა. მიხეილ სააკაშვილი წასვლისას ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაესაუბრა და ოზურგეთიდან გაემგზავრა.

პრეზიდენტის ახალი ვიზიტი ოზურგეთში 8 სექტემბერს გაიმართება. ამ დღეს ქ. ოზურგეთის ცენტრში განახლებული საცხოვრებელი კომპლექსი და სხვა ნაგებობები ოფიციალურად გაიხსნება.

------------------უფასო პოლიტიკური რეკლამა

## შალვა ნათელაშვილი ოზურგეთში

მარი კოძოევი



საარჩევნო შეხვედრები რეგიონებში საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ 4 სექტემბერს გურიიდან დაიწყო. –„გურია პოლიტიკის აკვანია და იმიტომო"–განაცხადა ოზურგეთის თეატრში გამართულ შეხვედრაზე მთავარმა ლეიბორისტმა, შალვა ნათელაშვილმა. პარტიის ლიდერმა ჩვეულ სტილს არ უღალატა, პოლიტიკა დაუწუნა როგორც ხელისუფლებას, ასევე კოალიცია „ქართულ ოცნებას", თქვა რომ ნაციონალებშიც და ოცნებაშიც არაერთი დამნაშავეა „მოკალათებული". „ერთადერთი ნამდვილი, ხალხზე მზრუნველი პარტია არის ლეიბორისტული პარტია"– განაცხადა ნათელაშვილმა.

კიდევ ერთხელ გაახმოვანა პარტიის სლოგანი: „მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთო". განმარტა რომ „მდიდრებში ხელისუფლების წარმომადგენლებს გულისხმობ", რომლებმაც მისივე თქმით, დიდი ფული უკანონოდ იშოვეს „ხალხის ფული მიითვისეს."

ნათელაშვილმა ხელისუფლებიდან უკვე წასულ ყოფილ თანამდებობის პირებზეც ისაუბრა:– „ხალხის ხარჯზე გამდიდრდა ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და კიდევ ბევრი. ოპოზიციაში მას შემდეგ გადავიდნენ, რაც სამსახურიდან გაათავისუფლეს, მანამდე ხმა არ ამოუღიათ"

კოალიცია „ქართული ოცნების" მისამართით გამოცხადებული უნდობლობის ერთ-ერთ მიზეზადაც ის დაასახელა, რომ „ქართულ ოცნებაში" მრავლადაა ხალხი, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ და „კარგა ხანს ხელს უწყობდნენ სააკაშვილს ბევრი დანაშაულის ჩადენაში."

შეხვედრაზე მოხდა ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთობის დეპუტატობის კანდიდატის, იურისტ დავით მამალაძის წარდგენა, რომელმაც ლიდერის მსგავსად არსებული ხელისუფლების უარყოფით მხარეებზე და ლეიბორისტული პარტიის ულტერნატივობაზე ისაუბრა. მან ბოლოს შეკრებილებს მომავალ არჩევნებში მხარდაჭერა სთხოვა.

------------------უფასო პოლიტიკური რეკლამა

## რამაზ ნიკოლაიშვილი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა

გაზეთი „ალიონი"



4 სექტემბერს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რამაზ ნიკოლაიშვილი თავისი შტაბში ოზურგეთელ ჟურნალისტებს შეხვდა.

წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ვმუშაობდი, მე ვიყავი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამინისტროს ხელმძღვანელი, დავაგროვე საკმაო ინფორმაცია, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანი და საპატიო ფუნქცია შევასრულო, –ვიბრძოლო გურულების პრობლემის მოსაგვარებლად, ის ხმა, რაც აქვთ მათ, მინდა საკანონმდებლო ორგანოს მაღალი ტრიბუნიდან მივაწვდინო იმათ, ვისაც მათი პრობლემების გადაჭრა შეუძლია. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

მან ასევე განაცხადა, რომ იქნება კონსტრიქციული,

მედიის საშუალებით საზოგადოებას მეტ ინფორმაციას მიაწვდის, რათა მისი საარჩევნო კომპანია იყოს გამჭირვალე. იგი დარწმუნებულია, რომ ოზურგეთელთა უმრავლესობა მას დაუჭერს მხარს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, იცნობს თუ არა კონკურენტებს, ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ იგი არ იცნობს არც ერთ კონკურენტს, და მათთან შესაჯიბრებელი არაფერი არ აქვს, რადგან იგი მისი თქმით დააგროვებს ბევრად მეტ ხმას, ვიდრე დანარჩენი 7 კანდიდატი ერთად აღებული.

მან ჟურნალისტებს მედიაჯგუფთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ იგი ყველა მედიასაშუალებას წაიკითხავს, და იმედი აქვს მათგან მეტ ინფორმაცის მიიღებს მოსახლეობაში არსებული პრობლემების შესახებ.

------------------უფასო პოლიტიკური რეკლამა

## ლევან კალანდაძე ჯუმათის მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნო

მარი კოძოევი




„თუ ახლავე არ ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები ჯუმათში ოჯახები თხილის და სიმინდის ნაკვეთების გარეშე დარჩებიან" ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა და ოზურგეთში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ლევან კალანდაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„სოფელ ჯუმათში ამ ადამიანებს თხილის და სიმინდის გარდა არაფერი გააჩნიათ. და ის საოცრად მძიმე შრომა და სიმწრით ნაშოვნი სასუქის და მიწის დამუშავებისათვის საჭირო საწვავის ფულიც, ყოველწლიურად წყალს მიაქვს. მხოლოდ 2012 წელს მდინარემ 20 ათასი კვადრატული მეტრი თხილის ბაღი და სიმინდის ნათესები წაიღო. მხოლოდ ბოლო ორ თვეში კი მდინარის მოვარდნილმა წყალმა ნაპირის კილომეტრიანი მონაკვეთის 50-60 მეტრის სიგანის მიწის მასივი ჩერეცხა. წყალს მიაქვს თხილის ნარგავები და სიმინდის ყანები. არადა თხილის ბაღის აღდგენას და ხელახლა გაშენებას 8-10 წელი სჭირდება"-განაცხადა ლევან კალანდაძემ.

როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა, სოფელ ჯუმათის მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა გურიის გუბერნატორს კოლექტიური წერილით და თხოვნით, რათა ხელისუფლებას დროულად ჩაეტარებინა ნაპირსამაგრი სამუშაოები. მიუხედავად ამისა, არც გუბერნატორის ადმინისტრაციას და არც ადგილობრივ ხელისუფლებას შესაბამისი ზომები არ მიუღიათ. ადგილობრივი გლეხები აცხადებენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არც კი დაინტერესებულან და ადგილზე არც კი შეუსწავლიათ დაზარალებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

„ახალი მემარჯვენეების" ოზურგეთში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლავან კალანდაძე მიმართავს გურიის გუბერნატორს და ოზურგეთის ადგილობრივ ხელისუფლებას, მიიღონ ზომები ნაპირსამაგრი სამუშაოების დროულად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. „თუ ახლავე არ ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, ეს ოჯახები ამ ზამთარს ვერ გადაიტანენ, წყალი უკვე სრულიად წაიღებს ამ ნათესებს და მომავალი ზაფხულისთვის ისინი თხილის ბაღებისა და სიმინდის სახნავი ნაკვეთების გარეშე დარჩებიან" -განაცხადა კალანდაძემ.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე +18+27 | უმეტესად მზიანი +18+28 | მზე, ღრუბელი +17+23 | წვიმა +16+22 | მზე, ღრუბელი +17+27 | მზე, +14+25 | მზე, +18+27 |
| 6 სექტემბერი ხუთშაბათი | 7 სექტემბერი პარასკევი | 8 სექტემბერი შაბათი | 9 სექტემბერი კვირა | 10 სექტემბერი ორშაბათი | 11 სექტემბერი სამშაბათი | 12 სექტემბერი ოთხშაბათი |

-------------------უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ზვიად კვაჭანტირაძე: – „მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლების შეცვლას“

ნინო ნიკოლაიშვილი



კოალიცია ,,ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატი ზვიად კვაჭანტირაძე ექადიის მოსახლეობას შეხვდა და იმ გეგმებზე ისაუბრა, რომელიც მისი თქმით, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უნდა განახორციელონ.

რისი იმედით აპირებთ გამარჯვებას,როცა არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია — პირველი რეპლიკა, გახლდათ, რომელსაც მეორეც მალევე მოჰყვა — ჩვენს პრეზიდენტს ახლა გაახსენდა გურია, ჩვენ კი ამდენი გაჭირვების გამო ყველანი პოლიტიკოსები გავხდით.

— ჩვენ გვაქვს მოსახლეობის საღი აზრის იმედი, რადგან მათი დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლების შეცვლას. აღნიშნა დეპუტატობის კანდიდატმა და კითხვითაც მიმართა შეკრებილთ: — რამდენს გაქვთ შესაძლებლობა უყუროთ თავისუფალ მედიას?

— ჩვენ არ გვაქვს ეს სიამოვნება. ამ მოკლე პასუხის შემდგომ დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობაზე ისაუბრა გამომსვლელმა, შემდეგ კი საარჩევნო პროგრამა გააცნო ხალხს.

ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა, ბიზნესის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარება, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და განათლება, პენსიების გათანაბრება საარსებო მინიმუმთან სტაჟისა და დამსახურების მიხედვით ზრდა...

ჩვენი პროგრამის პირველ ეტაპზე გაიზრდება პენსიები და გაუთანაბრდება საარსებო მინიმუმს; განვითარდება და გაძლიერდება სოფლის მეურნეობა. ინვესტიციები ჩაიდება წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად. ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემა მიხედოს თავის ჯანმრთელობას, რადგან ისინი იქნებიან დაზღვეულნი და თვით ყველაზე ძვირადღირებული ოპერაციებიც კი დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. იგეგმება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება გახდეს უფასო და სტუდენტებს მიეცეთ სტიპენდია. მოიხსნება მონოპოლია წამლებზე და ექიმის მიერ გამოწერილი ყველა წამლის შეძენა შესაძლებელი იქნება 50%-იანი ფასდაკლებით. მინდა ასევე აღვნიშნო, ჩვენ არ ვაპირებთ საჯარო სამსახურში მყოფ პირთა სახლში გაშვებას, ჩვენ გავუშვებთ მხოლოდ მათ, ვინც მხარში დაუდგება ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში. ყველა სისტემა გათავისუფლდება პოლიტიკური ზეწოლისაგან, მათ შორის პედაგოგები, რომელთაც აუცილებლად შევუქმნით კარგ პირობებს. უფასო გახდება მშობიარობა, ასევე ვიზრუნებთ ახალშობილი დედებ-ისათვის დეკრეტული შვებულების გაზრდაზე. რათა მათ არ ჰქონდეთ სამსახურის დაკარგვის შიში. სასჯელი გაუნულდება ყველა პრობაციონერს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე საუბარი მეცნიერმა **გურამ ცერცვაძემ,** იმ დაბლოკილი მილიარდი ლარით დაიწყო, რომლის ინვესტირება, მისი თქმით, ხელისუფლებამ აუკრძალა ბიძინა ივანიშვილს.

— იცით, რატომ არ დართეს ბიძინა ივანიშვილს მილიარდი ლარის ინვესტიცია ჩაედო სოფლის მეურნეობის განვითარებაში, იმიტომ, რომ ხალხი წელში გაიმართებოდა. ქვეყანაში დოვლათი შეიქმნებოდა. მაშინ რას უზამდნენ ამდენ შემოტანილ პროდუქტს, რომლის ბიზნესებიც თავად აქვთ და რომლითაც მილიონებს შოულობენ, რადგან არც აქედან შემოსული თანხა არ შედის ქვეყნის ბიუჯეტში. ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ნება, რომ განვითარდეს სოფლის მეურნეობა. დაუცველია თხილის, მანდარინის ფასები. როგორც მათ უნდათ, ისე დაუწევენ და აუწევენ ფასებს.

**თემურ სალუქვაძე:** ამჟამინდელი ტოტალური ხელისუფლება მუშაობს იმაზე, რომ მოსახლეობაში დანერგოს შიში. მინდა გითხრათ ჩემო მეგობრებო, რომ შიშით ფონს ვერ გავალთ. აქ ვხედავ ნაბრძოლ ადამიანებს, მაშინ ჩვენი ქვეყანა იარაღით დაცვას ითხოვდა, ახლა სწორი არჩევანის გაკეთებას ითხოვს. ბატონ ბიძინას არ სჭირდებოდა პოლიტიკაში მოსვლა. ეს ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა და მან ეს გააკეთა. გააკეთა ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი შვილებისთვის.

**აკაკი სიხარულიძემ** დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია გააცნო შეკრებილთ და მის პიროვნულ ღირსებებზე ისაუბრა. ასევე გაამახვილა ყურადღება ყალბ პირადობის მოწმობებზე. სხვადასხვა მისამართზე ადამიანთა მიწერებზე. ამ თემაზე კონკრეტული განმარტებები კოტე შარაშენიძემ გააკეთა.

ექადიელებმა იმ მიწების შესახებ ისაუბრეს, რომელიც ათეულობით წლების განმავლობაში მათ მფლობელობაში არსებობდა და რომელსაც ხელისუფლება მათივე თქმით, მოტყუებით ართმევს.

22 ოჯახი დაგვტოვეს მიწის გარეშე. რომელსაც 50 წელზე მეტია ჩვენი ბაბუები ამუშავებდნენ, და რომელიც ბევრი ოჯახის ძირითად სარჩოს წარმოადგენს. ნახაზებიც შედგენილია ლეგალიზაციის კანონის შემდეგ. შესაბამისად ფულიც გადავიხადეთ, მაგრამ არ გაგვიფორმეს, რადგან ეს მიწები, როგორც გაირკვა კონკრეტულ ჩინოვნიკთა ინტერესში შედის. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ. გასხვისება რამდენიმე ხნით შეაჩერეს და ახლა აუქციონზე გატანას აპირებენ.

კოტე შარაშენიძემ ურჩია მათ კიდევ ერთხელ გაეხადათ ეს თემა საჯარო, რათა დაისვას საკითხი აუქციონის შეჩერებისა.

მსგავს და სხვა პრობლემებზე გაიმართა საუბარი წმინდა გიორგისა და ყაზბეგის ქუჩებზე მოსახლეობასთან შეხვედრებისას.

# დაუმთავრებელი მშენებლობა



ქ. ოზურგეთში, წმინდა გიორგის ქუჩაზე, როგორც იქნა შესრულდა გაზიფიცირების და წყლის ქსელის გაყვანის სამუშაოები, თუმცა წყალის სამუშაოები არასრულყოფილადაა შესრულებული. ქუჩის დასაწყისში მილი მაგისტრალთან არ არის მიერთებული.

თუ ,,სოკარ გაზმა“ გაზიფიცირების სამუშაოების შესრულების შემდეგ გადათხრილი ქუჩა გაასწორა, წყლის კომპანიამ ეს საქმე ნაწილობრივ შეასრულა.

წმინდა გიორგის ქუჩის III შესახვევში, სადაც 8 ოჯახი ცხოვრობს წყლის მილის გაყვანის შემდეგ ქუჩა ისე მოუწესრიგებელი დატოვა, რომ წვიმაში გავლა შეუძლებელია. ერთ თვეზე მეტია, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებიც ჩავაყენეთ საქმის კურსში, მაგრამ მიუხედავად მათი შეპირებისა, მშენებელი დაწყებულ საქმეს დაასრულებდა, მდგომარეობა უცვლელია —განაცხადა გაზეთ ,,ალიონთან“ საუბარში ამ ქუჩის მცხოვრებელმა ანზორ მენაბდემ.

# საკრებულოს მორიგ სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“



5 სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“—განიხილეს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 1500 000 ლარი ტრანსფერით კეთილმოწყობის სამუშაობის შესრულებაზე მიღებული ეკონომია –18 484 ლარი და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოყოფილი 500 000 ლარი ტრანსფერის ეკონომიით დარჩენილი თანხა 9 109 ლარი (სულ 27 594 ლარი) გამოყენებული იქნება ამავე სამუშაოების ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ასევე კონჭკათის საბავშვო ბაღის შენობის შეძენა-შეკეთებისათვის გამოყოფილი 20 ათასი ლარი 11 500 ლარით შეამცირეს.(?!).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკანცელარიო საქონლის ხარჯის შემცირების საფუძველზე დამატებით შეიძენენ 2 მობილურ ტელეფონს, რომელთა სავარაუდო ღირებულება 420 ლარია.

ინფრასტრუქტურის სამსახურის მოთხოვნით კი კარის საკეტის ნაცვლად (60 ლარი)ავტომანქანის მეორად სავარძლებს შეიძენენ.

დაადგინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის სასყიდლით გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობა

1კვ.მ-ზე ცენტრალურ ზონაში გადასახდელია 5.9904 ლ. შუალედურ ზონაში– 1.9968 ლ. პერიფერიულ ზონაში –1.7472ლ. დაბა ურეკის სარეკრიაციო ზონაში– 21.9684. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე –0,539136ლ.

საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხაც დაამტკიცეს.

სოფ. ნატანებში — შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობი –1134 კვ. მეტრი; სოფ. მთისპირში 1324 კვ. მეტრი; სოფ. ვაკიჯვარში მილსადენი– 1180 კვ. მეტრი; არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე—4კვ. მეტრი.

საკრებულომ ,,სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის“ დირექტორის მაკა ჭყონიას ანგარიშიც მოისმინა მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

## გარდაიცვალა რევაზ სირაძე

**3 სექტემბერს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის პროფესორი რევაზ სირაძე.**

**გაზეთ ,,ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

# „დაგვპირდნენ თანხას მოგცემთო და მოგვატყუეს“

ნინო ნიკოლაიშვილი

ასკანობაზე სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი მერაბ ნინიძე ჩავწერეთ. ის უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმ თანხის გამო, რომელიც ხელისუფლებას უნდა მიეცა მისთვის, როგორც რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენლისათვის. .

— მამაჩემი კლიმენტი ნინიძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან დაბრუნებული 1951 წელს გადაასახლეს. მასთან ერთად გადაასახლეს ჩვენი ოჯახი. დედაჩემი მე და ჩემი ძმა. იქ ვსწავლობდით სკოლაში, ბევრი გაჭირვებაც გადავიტანეთ.

—,,როცა გამოვიდა კანონი რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ, კანონით გათვალისწინებული თანხა უნდა გადმოგვცემოდა და ამის შესახებ გაზეთიდან შევიტყვე, იურისტების დახმარებით, პირადად შევიტანე სარჩელი სასამართლოში. ახლაც ვურეკავ იმ ახალგაზრდას, ქეთინო ქვია, რომელმაც ჩაიბარა ჩემი საბუთები და მპასუხობს — ბაბუ ჯერ არ არის თქვენი საქმე განხილული. საკმაო ფული დამეხარჯა საბუთების შეგროვებასა და გზაში, ტყუილად დაგვპირდნენ თანხას მოგცემთო და მოგვატყუეს.“



მილოცვა

ჩემო საყვარელო მამი!

გილოცავ დაბადების დღეს, იდღეგრძელე დიდხანს.

შენი ამუკა.

# ასკანობის ტრადიციული დღესასწაული და მთათა მიერ ნათქვამი ბანი

ნინო ნიკოლაიშვილი

**ყოველ კარგ საქმეს თავისი ხიბლი და მადლი აქვს თანო – იტყვიან, და ისიც უდაოდ სათქმელია – სწორედ ამ მადლმა გამოუღარაო ერთი მთიანი სოფლის მკვიდრთაც და სტუმართაც. წვიმამ გადაიღო, სოფელმა გაიხსნა გულისკარი, გულით მიიღო ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ეს მადლიც და ის მამულ - დედულეთი, მის საწილო ფუძედ რომ დასდებია სამშობლოს. სამშობლო არც პათეტიკადქცეულ ფრაზებში ჩატეულა ოდესმე, არც ენაწყლიან სადღეგრძელოებში, ვერც ახლა ჩაეტევა. სულ სხვა რამაა მისი მსახურება და სიყვარული, გული რომ გეუბნება და სულიც რომ არ გიჯანყდება – ის. და თუ ეს ასეც არ არის, ხომ უარესი – ასე ფიქრობენ, ამბობენ კიდეც. ფიქრი და სიტყვა რომ რეალობად გექცევა და ამ რეალობას ბალავრად სიყვარული ჩაეკირება, აღიმართება ტაძარი, სული იზეიმებს, გულიც გაიხარებს.**



ტაძარი აღიმართა და უკვე ტრადიციადქცეული ასკანობა 30 აგვისტოს მეთერთმეტედ გაიმართა. .ამ დღეს განსაკუთრებულად ემზადებიან ასკანაში,

სტუმარი – ღირსეული სტუმრობისათვის.

მასპინძელი – ღირსეული მასპინძლობისთვის... და ორნივ ერთად განსაკუთრებულად ესათუთებიან თავიანთი ბავშვობისა და ყრმობის თავშესაფარს აქ, ან იქ, სადაც ეს ადგილი ეგულებათ. ამ ლამაზი ტრადიციის სულისჩამდგმელები ასკანელი ძმები გოჩა, ჯიმშერ და ზურაბ ჩხაიძეები არიან თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად. ამ ასკანობის მასპინძელი მათი მამა ზაურ ჩხაიძე გახლდათ, რომელმაც პირადი ტკივილის მიუხედავად (ძმა გარდაეცვალა რამდენიმე თვის წინ), არაფერი დააკლო დღესასწაულს, სხვათათვის რომ გაელამაზებინა. სიმღერები მოისმინეს მთისპირელი გია ვაშალომიძის შესრულებით. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები, რომელშიც მეზობელი სოფლის ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. სიტყვით მიმართა თანასოფლელებს სოფლის დეპუტატმა ლევან ნინიძემ.

ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმო ასკანამ; ცხენოსნობაში I ადგილი – ირაკლი ჭელიძე, ბახვი; II ადგილი – ტარიელ დოლიძე, ასკანა; ფრენბურთში გამარჯვება მზიანის გუნდს ერგო; ნარდში I ადგილის მფლობელი გახდა ლადო ინწკირველი, შაშში – ირაკლი ინწკირველი; მკლავჭიდში გამარჯვება ლევან გოგიბერიძემ (მზიანი) მოიპოვა; გამარჯვებულებს ზაურ ჩხაიძემ პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ასკანელი ძმების დაფინანსებით ფულადი პრიზები (200 ლარი) გადასცა ტაძრის მოძღვარმა მამა კვირიკემ (ხეცურიანი) სოფელში ერთი წლის განმავლობაში დაბადებული ყველა ბავშვის ოჯახს.

**– ბატონო ზაურ, რას ფიქრობთ, როცა ამ სოფლის სანახებს უახლოვდებით?**

– ეს გრძნობა ყველას ერთნაირად არ გააჩნია, რადგან ადამიანები არიან განსხვავებულნი. ეს არის გენური სითბო, ამას განაპირობებს ახალგაზრდობის ყველა განცდა, სიხარული თუ გასაჭირი, რომელიც განსაკუთრებულად დაიხვეწა ჩემში. ასკანა ჩემთვის ღვთაებრივი სოფელია.

**– თუმცა საკმაო პრობლემების მქონეც. როგორ წარმოიდგენდით თქვენი სოფლის მომავალს?**

– პრობლემები თავსაყრელად გვაქვს, რადგან არ არსებობს სოფლის განვითარების სწორი ხედვა. უნიკალური პიროვნება გვყავდა ქართველებს ილია ჭავჭავაძის სახით, რომელიც ქვეყნის საერთო განვითარებაში ყველაზე დიდ როლს სოფელს უთმობდა, რადგან ჩვენ აგრარული ქვეყანა ვართ. სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე სოფელი არ იარსებებს. მას თანადგომა სჭირდება როგორც ხელისუფლების, ასევე თავად სოფლის მკვიდრთა მიერ. ისტორიას რომ დაკარგავ, მომავალიც დაკარგულია. სოფელი თუ მოიშალა, ქვეყანა ველარ განვითარდება. ყველას თავისი ფუნქცია უნდა ჰქონდეს, მათ შორის სკოლასაც. სოფელში უნდა აღდგეს ჩაის მრეწველობა. ჩვენი ხალხი უცხოეთში არ უნდა გარბოდეს სამუშაოდ, აქვე უნდა შეეძლოს თავის რჩენა.

ამჟამად სოფელში მშენებლობა მიმდინარეობს, რას გეგმავენ ძმები, ახალი ინვესტიცია ხომ არ უნდათ განახორციელონ?

– ჩემს შვილებს ბევრი გეგმა აქვთ სოფელთან მიმართებით. ინვესტიციას კეთილი ნებაც სჭირდება სოფელში, ყველაფერი სწორად არის დასაგეგმი და გასაკეთებელი. ადამიანმა სამოცდაათი წელი (პირობითად ვამბობ ასაკს) როგორ ვერ უნდა იცხოვრო ისე, რომ საკუთარ თავს არ მოუარო და სიგლახე არ გააკეთო. ყველა რომ ასე იფიქრებს და შეასრულებს, ყველაფერი კარგად იქნება.

– როცა აქეთ მოვდივართ, ზაურის ველარ იცნობ. ის მთელი გულით, სულით, ემოციებით არის დაკავშირებული თავისი სოფელთან. ვერ ისვენებს, ფორიაქობს, როცა საქმე ასკანას ეხება. – ღიმილით გვერთვება საუბარში ასკანელი ძმების დედა ქალბატონი ციალა მეპურიშვილი.

მეორე მასპინძელი ასკანაში იმ დღეს ლევან ნინიძის ოჯახი გახლდათ. ტრადიციული მასპინძლობით ცნობილი. ამ დღეს ალამაზებდა ოჯახის უხუცესი დიასახლისი, სოფლის ერთ-ერთი ღირსეული ქალბატონი 82 წლის თალიკო მახარაძე, ჩვეული ენერგიით, სიტყვაგამჭრიახობითა და იუმორით. აქ იყო ბევრი სიყტვახიბლიანი, ხმამზიანი და „შვიდკაცას" ქართული სიმღერების ექოთი ცას „მთები ბანს ეუბნებოდა".



მერი სადრაძე, თალიკო მახარაძე, ციალა მეპურიშვილი

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
# განცხადება
## ადმინისტრაციის მოხელეების წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტებსა და ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45.5 მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრებს არ აქვს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება.

კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე („საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-2 მუხლის ჰ-1 პუნქტი) კომისიის წევრების მიერ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მაისურის, კეპის ან სხვა რაიმე სახის ატრიბუტიკის ტარება, მითუმეტეს, ამგვარი ატრიბუტიკით კომისიის სხდომებზე დასწრება, წარმოადგენს წინასაარჩევნო აგიტაციას. აღნიშნული წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2.000 (ორი ათასი ლარის ოდენობით („საქართველოს საარჩევნო კოდექსის „79 მუხლი).

# ახალი წიგნი

**გამოიცა მწერალ სულიკო ლომჯარიას მეორე წიგნი „სოფელო ჩემო". წიგნი ოზურგეთის ერთი მშვენიერი სოფლის ჭანიეთის ირგვლივაა შექმნილი. მასალებს სოფლის შესახებ მწერალი ისეთი ენით გადმოგვცემს, თითქოს ყოველი მოვლენისა და შემთხვევის მონაწილე ხდება მკითხველი. ისტორიული ცნობები, გადმოცემები თუ თქმულებები, ლამაზად შეკრებილი და აკინძული, ამ პატარა სოფლის მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთს წარმოადგენს. გთავაზობთ მასალას წიგნიდან.**

## ტყვეთა მოტაცება

ჩვენს მიწა-წყალზე ოსმალოების თარეში და ტყვეთა მოტაცება იყო უდიდესი ტკივილიანი დრო, რომლის გახსენება მუდამ უჭირდათ სოფელში. „მეზობელ აჭარელ თურქებს გურიიდან ქალებისა და ბავშვების მოტაცება ხელობად ჰქონდათ გადაქცეული. მოიტაცებდნენ თავიანთ მსხვერპლსა გურიაში, ამ გზით შემოჰყავდათ აჭარაში, აჭარიდან ბათუმში გადაჰყავდათ, სადაც ბაზარზე სხვა საქონელთან ერთად, კრავებივით, გურიის სოფლების ცოცხალი საქონელიც იყიდებოდა."(თედო სახოკია, „მოგზაურობანი,"ბათუმი, 1992წ. გვ. 162)

ერთ-ერთი გზა, სამწუხაროდ, ჭანიეთ-ქაქუზე გადიოდა და მახლობელი ტყე იყო ის ადგილი, სადაც ხდებოდა გარიგება და შემდეგ ტყვეთა გაყვანა თურქეთში. ჩოლოქის ერთ-ერთ შენაკადს, რომელიც გამოღმა ქაქუთში ჩამოივლის, „მოყვირალს"ეძახიან, ვინ იცის „ეს გურულ ლამაზ ქალების და ბავშვების სასოწარკვეთილი ყვირილი იყო, რომელსაც არაერთხელ აუხმაურებია აქაურობა." (თ. სახოკია, იქვე). სოფელში ასე მოიაზრებენ: –„ყოფილა შემთხვევა, ტყვე ბავშვი ხეზე მიუბამთ (ლეხოურელი), მდევრის შიშით მიუტოვებიათ. 12 დღის შემდეგ მოაკითხეს, მაგრამ ცოცხალ-მკვდარი ბავშვი ისეთი სანახავი იყო, შიშისაგან უკან მიუხედავად გაქცეულან". (აკ სურგულაძე, „ექვთიმე თაყაიშვილი,"გვ.8).

სამწუხაროდ, ოსმალოებს მახლობელი სოფლებიდანაც ჰყავდნენ ხელისშემწყობნი და მათ შორის ჭანიეთ-ქაქუთიდან. ამ საქმეში გლეხთა მონაწილეობას იმით ხსნიდნენ, რომ ამ დროს უკიდურესად უჭირდათ, უამრავი გადასახადის გამო წელში იყვნენ გაწყვეტილნი, მაგრამ მემამულეების ხელი უფრო მეტად ერია ამ საქმეში, რის ხარჯზეც მდიდრდებოდნენ. ამიტომაც ტყვეთა მოტაცების გამო გურიელმა სასტიკი კანონი „კოცონზე დაწვა"შემოიღო.

ჭანიეთლებიც ვერ გადაურჩნენ ტყვეობას. სამუელ შავიშვილი 16 წლისა გაუტაცნიათ და ბაზარზე გაუყიდიათ, როგორღაც მოახერხა თავის დაღწევა და მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მან ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა.

ასევე მოიტაცეს შევარდენ ლომჯარიას ულამაზესი და. ერთ-ერთ გამტაცებელს მოსწონებია და ცოლად შეურთავს. შემდეგ იგი ნახეს ლეღვაში, ოქროპირიძეების ოჯახში. სოფელში, დღესაც, იმ ოქროპირიძეებს გურულებს ეძახიან. ოქროპირიძეს ისე ჰყვარებია მისი მეუღლე, რომ სჯული არ გამოაცვლევინა. კვირაობით წირვაზე თუ ზიარებაზე გადმოიყვანდა და ეკლესიის გალავნის გარეთ ელოდა ქრისტიან მეუღლეს მუსულმანი ქმარი."(მასალა მოგვაწოდა შევარდენ ლომჯარიას შთამომავალმა მარინა რუსიეშვილმა).

ამ ტკივილიან დროს უკავშირდება ერთი საინტერესო ისტორია: გაღმა ქაქუთელ მაჰმადიან ქარცივაძეს მოსწონებია გამოღმა ქაქუთელი ქავთარაძის ქალი მაკა, ნოე ქავთარაძის ნათესავი. ქალსაც მოსწონებია წარმოსადეგი ლამაზი ვაჟკაცი. დამსხდარან გაღმა-გამოღმა ქაქუთელები და ქავთარაძეებს ასეთი წინადადება მიუციათ გაღმიელებისათვის:–თუ რჯულს არ შეაცვლევინებდნენ მაკას, მაშინ მიათხოვებდნენ მაჰმადიან ქარცივაძეს. თუ ქმარი სჯულს გამოიცვლიდა და თავის პირვანდელ სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა, მაშინ სიკვდილის შემდეგ ერთად დაასაფლავებდნენ.

ქორწინება შედგა, მაკას სჯული არ შეუცვლია, იგი გაღმა ქაქუთში ცხოვრობდა. მას ჰყავდა და ფირუზი, როცა მოენატრებოდა იგი–ჩოლოქისპირზე ჩამოჯდებოდა და ფანდურზე დამღერებით გამოხატავდა მის მონატრებას. ასე შეიქმნა ხალხური სიმღერა–„ფირუზი-კვატიტო."

ფირუზი
(სასიმღერო ვარიანტი)
მაღლიდან გადმომდგარიყო, ფირუზი
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა, კვატიტო,
კვატიტო და გულის ვარდო
ვაქოთ, ლამაზი.
მოდი, ხელსა მიქნევდა, ფირუზი,
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა, კვატიტო,
კვატიტო და გულის ვარდო
ვაქოთ, ლამაზი.
გავედი, გვერდში მოვისვი, ფირუზი
ფირუზ-ფანდურ-ფანდურასა, კვატიტო*,
კვატიტო და გულის ვარდო
ვაქოთ, ფირუზი.

მაკა ქავთარაძის ისტორია აქ არ დასრულებულა: რაკი ქმარმა სჯული არ გამოიცვალა, სიკვდილის შემდეგ იგი გადმოუსვენებიათ და ქაქუთის ეკლესიაზე დაუკრძალავთ. ევგ. ქავთარაძის მონათხრობით, უხუცეს ქალბატონ მატრონ ქავთარაძეს სცოდნია მაკას საფლავი, ამჟამად კი უცნობია.

რამდენიმე თვის წინ გაღმა ქაქუთში, ემზარ მართალაშვილის ოჯახში მოვხვდი, სადაც ოჯახის ახალგაზრდა დიასახლისი ლამზირა ქარცივაძე აღმოჩნდა მაკას შთამომავალი.

–„მაკა ჩემი დიდი ბებია იყო, ქავთარაძეებთან ახლაც ნათესაური კავშირი გვაქვსო,"–განაცხადა მან.

* **„კვატიტო"** – ნიშნავს საალერსო სიტყვას, საყვარელ ქალს მიმართავდნენ ასე: „კვატიტო,"ანუ ჩაპუტკუნებული."

# თორნიკე მახარაძის წარმატება



ქ. ბათუმში, ჭადრაკის სასახლეში ერთკვირას მიმდინარეობდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინტერნაციონალური ფესტივალი – „ბათუმი 2012“, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთის, ლიტვის, საქართველოს, თურქეთის, ზერბაიჯანის, თურქეთის მოჭადრაკეები.

ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირში 10 წლის ასაკის მოჭადრაკეთა შორის ასპარეზობდა ქ. ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოსწავლე, 9 წლის თორნიკე მახარაძე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ასაკობრივ ჯგუფში 38 მოჭადრაკე გამოდიოდა (ტურნირი შვეიცარული სისტემით ჩატარდა) და 9 წლის თორნიკეს მასზე უფროს მოჭადრაკეებთან უწევდა პაექრობა, 7 ტურში 6 ქულა დააგროვა. ამდენივე ქულა დააგროვა ევროპის თასის მფლობელმა, ქუთაისელმა დავით კანკავამ და ისინი I-II ადგილებს იყოფდნენ. მათ ურთიერთ შეხვედრა ყაიმით დაასრულეს. ტურნირის გამარჯვებული ამ ასაკში კოეფიციენტის მაჩვენებელს უნდა გადაეწყვიტა. აქ კი, მცირე უპირატესობა ქუთაისელი მოჭადრაკის მხარეს აღმოჩნდა და თორნიკეს II ადგილი ერგო. თორნიკეს შესაბამისი ხარისხის მედალი, დიპლომი და ფულადი ჯილდო 250 ლარი გადაეცა.

ეს ოზურგეთელი მოჭადრაკის უდაოდ დიდი წარმატებაა, მით უმეტეს, იგი ჭადრაკში (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე) მხოლოდ ერთ წელზე ცოტა მეტია თუ ვარჯიშობს. ამ ხნის მანძილზე იგი თავის ასაკობრივ ჯგუფში იყო რაიონის ჩემპიონი 10-12 წლიანებში, ოზურგეთის აბსოლუტური ჩემპიონი და გურიის ჩემპიონი. მან, ქ. თბილისში, შესარჩევ ტურნირში III ადგილი დაიკავა, ხოლო ქ. ფოთში, ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე IV–V ადგილი.

თორნიკე №2 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეა. ვულოცავთ მას ამ წარმატებას.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი დაიწყო



ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დაიწყო მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ჭადრაკში, რომელშიც სხვადასხვა ასაკის 13 მოჭადრაკე იღებს მონაწილეობას. ამ ტურნირს წინ უძღვოდა ორი ნახევარფინალური შესარჩევი ტურნირი, რომელშიც თავიდან 34 მოჭადრაკე იყო ჩართული. ყოველი ჯგუფიდან 6-6 მოჭადრაკე გავიდა ფინალურ ეტაპზე. ამჯერად ეს 12 მოჭადრაკე ეცილება ერთმანეთს საპრიზო ადგილების დასაკავებლად.

თუ გასული საჭადრაკო შეჯიბრებების შედეგებით ვიმსჯელებთ, ჩემპიონატის ფავორიტებად გასული წლის ჩემპიონი გივი სიამაშვილი, გურიის გასული წლის ვიცე-ჩემპიონი ელგუჯა ურუშაძე, ოზურგეთის ჩემპიონატის III პრიზიორი აკაკი გოგუა გვევლინებიან. ასევე ჩემპიონობისათვის ბრძოლაში კარგი შანსი აქვს ასკანელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს დავით კილურაძეს.

ასევე კარგ შედეგებს ელოდებიან შავი ზღვის აუზის ქვეყნების ახალგაზრდული ჩემპიონატის II პრიზიორ, 9 წლის თორნიკე მახარაძისა და 11 წლის მიშიკო ქურიძისაგან, რომლებმაც ბრძოლით მოიპოვეს ამ ჩემპიონატში თამაშის უფლება.

როგორც გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ გვითხრა, ოზურგეთლებს, როგორც მასპინძლებს, რეგიონალურ პირველობაზე 5 ადგილი აქვთ გამოყოფილი. ჩემპიონატის პრიზიორები (I–III ადგილი) გურიის მე-17 რეგიონალურ ჩემპიონატში პირდაპირ დაიშვებიან, ხოლო IV–V ადგილებზე გასულები და საპატიო მიზეზით ტურნირში არ მონაწილე მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკეები 2 წრიან დამატებით ტურნირში გაარკვევენ გურიის ჩემპიონატში მონაწილე კიდევ 2 მონაწილის ვინაობას.

უკვე გამართული სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით დაწინაურდნენ ვეტერანი რომან კუტუბიძე, ელგუჯა ურუშაძე, დავით კილურაძე, მიშიკო ქურიძე, გივი სიამაშვილი, აკაკი გოგუა.

ჯერ-ჯერობით ორი ტური ჩატარდა. ორთავე პარტია მოიგო აკაკი გოგუამ. ტურნირმა გურიის ჩემპინატში მონაწილეთა ვინაობაც უნდა გადაწყვიტოს. ჩემპიონატი 15 სექტემბრამდე გაგრძელდება.

# საქართველოს XXIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

25 აგვისტოს სტარტი აიღო 2012-2013 წლების საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის. იმის გამო, რომ სპორტული ინტერნეტ-გვერდიდან არასწორად იქნა მასალა ამოღებული, გაზეთ „ალიონის“ წინა ნომერში ამ თემაზე ინფორმაცია ცდომილებებით დაიბეჭდა.

ოზურგეთის „მერცხალის“ ჯგუფში გამოდიან: „აეტი,“ „ზოოვეტი,“ „სამგურალი,“ „ლიახვი,“ „სპარტაკი,“ „შუქურა,“ „ლოკომოტივი,“ „კოლხეთი“ (ხბ) „ჩხერიმელა,“ „ადელი.“

I ტურში, გასვლით მატჩში „მერცხალმა“ „აეტს“ მოუგო 3:2, ხოლო დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების 1/16 ფინალის პირველ მატჩში საკუთარ მოედანზე ქობულეთის „შუქურასთან“ დამარცხდა 0:3. ამ შეხვედრის დასასრულს ინციდენტიც მოხდა. მატჩის კომისარს ხელი გაარტყეს.

გუშინ, „მერცხალმა“ „ზოოვეტს“ უმასპინძლა. პირველ ტაიმში მასპინძლები დაწინაურდნენ 1:0, (ტულუში), მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ანგარიში გაათანაბრეს. 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

I ლიგა ( „ა“ზონა) I წრე

**10.09 „სამგურალი“–„მერცხალი“**
**14.09 „მერცხალი“–„ლიახვი“**
**24.09 „სპარტაკი“-„მერცხალი“**
**29.09 „მერცხალი“–„შუქურა“**
**06.10 „ლოკომოტივი“–„მერცხალი“**
**19.10 „მერცხალი“–„კოლხეთი“(ხბ)**
**26.10 „ჩხერიმელა“– „მერცხალი“**
**02.11 „მერცხალი“–„ადელი“**

II წრე

**07.11 „მერცხალი“-„აეტი“**
**13.11 „ზოოვეტი“–„მერცხალი“**
**20.11 „მერცხალი“–„სამგურალი“**
**25.11 „ლიახვი“–„მერცხალი“**
**30.11 „მერცხალი“–„სპარტაკი“**
**15.12 „შუქურა“–„მერცხალი“**

# საერთაშორისო ტურნირზე



ქ. ბათუმში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის, დავით ბედინიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის მოჭიდავეები. ოზურგეთის ღირსებას ამ ტურნირზე ოზურგეთის სასპორტო სკოლის ლიხაურის ფილიალის ნაკრები გუნდი იცავდა. (მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე).

42კგ. წონით კატეგორიაში კარგად იასპარეზა რობიკო ლომინაძემ. მან მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და II ადგილი დაიკავა.

29, 47, 53 კგ. წონით კატეგორიებში III ადგილი დაიკავეს: ანზორ ხურციძემ, ვაჟა გოთუამ, ლაშა სალუქვაძემ.

## ხსოვნა

# შოთა გოლიაძე



უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტმა დაკარგა ღვაწლმოსილი მეცნიერი, უანგარო მამულიშვილი შოთა კირილეს ძე გოლიაძე.

ბატონი შოთა იყო უდიდესი პიროვნება, არაერთი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; აკადემიკოსი; დამსახურებული აგრონომი; დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. ინსტიტუტში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სელექციისა და გენეტიკის განყოფილებას.

სახელოვანმა მეცნიერმა დიდი შემოქმედებითი გზა განვლო და ღირსეული წვლილი შეიტანა სუბტროპიკული მეხილეობის, განსაკუთრებით მეციტრუსეობის განვითარების, მეცნიერულად დასაბუთებული პრობლემის გადაწყვეტაში. ხანგრძლივი გამოკვლევებით დაასაბუთა მათი მოვლა-მოყვანის მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. შეისწავლა კულტურათა ბიოლოგია და დასახა მათი სელექციური გაუმჯობესების გზები. მისი ხელმძღვანელობით მიღებული იქნა სუბტროპიკული კულტურების სრულიად ახალი სახეობები, ჯიშები და ფორმები, რომელთა უმრავლესობა დანერგილია წარმოებაში.

განუმეორებელი იყო ბატონი შოთა, როგორც მოქალაქე, ყურადღებიანი, თავაზიანი, ტაქტიანი, კარგი ორგანიზატორი, თანამშრომლების უსაზღვროდ მოყვარული. სამაგიეროდ მათგანაც დიდ სიყვარულს იმსახურებდა, ყველას მისი ხათრი და რიდი გვქონდა.

ბატონი შოთა ფართო განათლების და შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერი და პედაგოგი იყო. მისი ცოდნის სფერო მოიცავდა მეცნიერების მრავალ დარგს (ციტოლოგია, გენეტიკა, სელექცია, მეთესლეობა), ამასთანავე თავის დიდ ცოდნას და გამოცდილებას ახმარდა ახალგაზრდა ასპირანტების და მაძიებლების აღზრდას, რომლებისგანაც მოითხოვდა სამეცნიერო მუშაობაში თავდადებასა და სიზუსტეს.

1 სექტემბერს ბატონ შოთას 87 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს ყოველთვის დიდი მხიარულება იყო ჩვენთან განყოფილებაში. ჩუმად ვუწყობდით სუფრას. მართალია გაბრაზდებოდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს მას სიამოვნებდა. დასანანია, რომ თქვენი თანამშრომლებისაგან ბევრი უკვე ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ გვჯერა, რომ თქვენ ისევ ერთად ხართ, ძველებურად დაბადების დღეს გილოცავენ, გეფერებიან ბონდო თუთბერიძე, ლია თიკანაძე, ალექსანდრა ვაშალომიძე, ქეთი რუსიეშვილი, ელბერდი თოდაძე, თენგიზ გუნთაძე და რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ბატონო შოთა, თქვენ იყავით ჩვენი ჭკუის დამრიგებელი, გზის გამკვლევი და გვერდში მდგომი ადამიანი. იყავით კრისტალივით წმინდა და ასევე დარჩებით ყველას ხსოვნაში, ვინც თქვენ გიცნობდათ.

**ცისანა ქაშაკაშვილი,**
ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის

# ზური (ზურიკო) მამულაიშვილი



ცრემლითა და დიდი ტკივილით გაილია 40 დღე და ეს იქნება იქ-ამდე, სანამ შენი საყვარელი ოჯახი და მეგობრები იარსებებენ.

თავაზიანი, მორიდებული, მოკრძალებული—ასე გიხსენებთ შენი მეგობრები, რომელთა შორის და თუნდაც სხვაგანაც არ მოიძებნება ადამიანი, რომლებისთვისაც ოდნავი წყენაც კი მიგეყენებინოს, შენს თავს კი, რა დაუშავე ისეთი, ულმობელი განაჩენი რომ გამოუტანე, —თვითმკვლელობით დაასრულე შენი ლამაზი სიცოცხლე. რატომ დატოვე შენი ულამაზესი შვილები ბაჩუკი და ანზორიკო, რომლებზედაც მზე ამოგდიოდა. ძალიან გაგიხარდა, ბაჩუკიმ სკოლის დამთავრებისთანავე, პირველ წელსვე, რომ ჩააბარა ეროვნული გამოცდები და სტუდენტი გახდა. რატომ არ იფიქრე ერთგულ მეუღლე მაკაზე, რომელიც ყველაფერს აკეთებდა შენი მომავლისათვის, შენი სიკეთისათვის; რატომ არ გაგახსენდა დღედაღამ შენზე მზრუნველი, მუდამ შენზე ფიქრში მყოფი დედა, ქალბატონი ცაცია და მამა ანზორი, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდული ასაკისა, ამ ორმოც დღეში მთლიანად მოხუცდნენ.

ჩვენო ზურიკო! მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ შენი მეგობრები, დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგიგონებთ ყოველთვის, შევევედრებით უფალს, მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს გაუხარებელ სულს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru